

შპს დუალმაინდ

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით.....	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4. ფული და ფულის ექვივალენტები.....	12
5. სავაჭრო მოთხოვნები	12
6. მარაგები	12
7. გაცემული ავანსები	13
8. ძირითადი საშუალებები	13
9. სავაჭრო ვალდებულებები.....	15
10. მიღებული ავანსები	15
11. შემოსავალი რეალიზაციიდან.....	15
12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	16
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	16
14. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	17
15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს მდგომარეობით

	შენიშვნა	31-12-22	31-12-21	31-12-20
ფული და ფულის ექვივალენტები	4	116,645	341,992	46,282
სავაჭრო მოთხოვნები	5	856,874	539,594	844,794
მარაგები	6	3,137,433	1,726,832	707,039
გაცემული ავანსები	7	295,729	484,393	436,083
სხვა მიმდინარე აქტივები		25,577	4,293	270
სულ მოკლევადიანი აქტივები		4,432,258	3,097,104	2,034,468
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	8	513,924	431,149	296,345
სულ გრძელვადიანი აქტივები		513,924	431,149	296,345
სულ აქტივები		4,946,182	3,528,253	2,330,813
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	9	73,361	61,756	133,549
მიღებული ავანსები	10	53,186	122,277	38,766
სესხები		-	-	72,284
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		-	184	16,675
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		126,547	184,217	261,274
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		-	-	-
გაუნაწილებელი მოგება		4,819,635	3,344,036	2,069,539
სულ საკუთარი კაპიტალი		4,819,635	3,344,036	2,069,539
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		4,946,182	3,528,253	2,330,813

დირექტორი -----

დიტო შერგელაშვილი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი	11	6,034,477	4,836,454
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	12	(3,645,985)	(2,980,648)
საერთო მოგება		2,388,492	1,855,806
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(229,645)	(155,453)
ხელფასები და სხვა სარგებელი	14	(502,217)	(322,742)
ძირითადი საშუალებების ცვეთისა ხარჯი	8	(55,233)	(37,055)
სხვა შემოსავლები		1,314	735
სხვა ხარჯები		(1,599)	(38,059)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე		1,601,112	1,303,232
საპროცენტო შემოსავალი		-	108
საპროცენტო ხარჯი		(10,938)	(5,278)
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(114,421)	(23,565)
მოგება დაბეგვრამდე		1,475,753	1,274,497
მოგების გადასახადი		(154)	-
წმინდა მოგება		1,475,599	1,274,497

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2022	2021	2020
ნაშთი 1 იანვარი	3,344,036	2,069,539	1,014,244
წმინდა მოგება	1,475,599	1,274,497	1,127,063
დივიდენდის გატანა	-	-	(71,768)
ნაშთი 31 დეკემბერი	4,819,635	3,344,036	2,069,539

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დუალმანდ“ დაფუძნდა 2015 წელს. კომპანიის ფიზიკური და იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, სოფელი დიღომი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა, N 16. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 405110776.

კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები: დიტო შერგელაშვილი (პ/ნ 18001063809) – 33.33%, მიხეილ კელენჯერიძე (პ/ნ 18001063820) – 33.33%, დავითი მჭედლიძე (პ/ნ 18001063811) – 33.34%,

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა სამედიცინო აპარატურით და ინსტრუმენტებით, ასევე სამედიცინო აპარატურის შეკეთება და მონტაჟი. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი: დიტო შერგელაშვილი (პ/ნ 18001063809).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2022 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის

მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება. ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	31-12-21	31-12-20
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	341,563	42,814
სავაჭრო მოთხოვნები	538,850	844,514
მარაგები	1,753,651	708,820
გაცემული ავანსები	484,391	436,082
სხვა მიმდინარე აქტივები	3,977	307
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,122,432	2,032,537
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	432,021	296,337
სულ გრძელვადიანი აქტივები	432,021	296,337
მთლიანი აქტივები	3,554,453	2,328,874
ვალდებულებები და კაპიტალი		
სავაჭრო ვალდებულებები	48,884	161,316
მიღებული ავანსები	122,277	38,766
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	563	16,706
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	171,724	216,788
გრძელვადიანი ვალდებულებები		
სესხები	-	72,284
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	72,284
მთლიანი ვალდებულებები	171,724	289,072

საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	-	-
გაუნაწილებელი მოგება	3,382,729	2,039,802
სულ საკუთარი კაპიტალი	3,382,729	2,039,802
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები	3,554,453	2,328,874

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე):

	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	4,836,455	3,016,138
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-2,947,840	-1,651,062
საერთო მოგება	1,888,615	1,365,076
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(145,248)	(95,929)
ხელფასები და სხვა სარგებელი	(322,742)	(144,727)
ცვეთის ხარჯი	(36,541)	(11,661)
სხვა შემოსავლები	1,135	1,019
სხვა ხარჯები	(38,058)	(4,335)
მოგება პროცენტებამდე და საკურსო სხვაობამდე	1,347,161	1,109,443
საპროცენტო შემოსავალი	108	-
საპროცენტო ხარჯი	(5,278)	(1,232)
მოგება საკურსო სხვაობიდან	936	(7,220)
მოგება დაბეგვრამდე	1,342,927	1,100,991
მოგების გადასახადი	-	(3,715)
წმინდა მოგება	1,342,927	1,097,276

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844
2021 წლის 31 დეკემბერი	3.0976	3.5040

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს-ის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	30-50
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	2-3
მანქანა-დანადგარები	2-4
ოფისის აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-7

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების ვადა; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი მოგება ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო

ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 მარაგები.

კომპანია მარაგებად აღრიცხავს იმ აქტივებს, რომლებიც კომპანიას გააჩნია რეალიზაციის მიზნით. მარაგის აღრიცხვა ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია თითოეული საქონლის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის სავარაუდო გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

მარაგის თვითღირებულებაში არ ჩაირთვება შემდეგი დანახარჯები: ა) ნედლეულისა და მასალების ზენორმატიული დანახარჯები; ბ) მარაგის შენახვის დანახარჯები, იმ დანახარჯების გარდა, რომელთა გაწევა აუცილებელია საწარმოო პროცესის ერთი სტადიიდან მომდევნო სტადიაზე გადასასვლელად; გ) ზედნადები ადმინისტრაციული ხარჯები; დ) გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები. თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი. კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს მასალები და ნედლეული, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულების ნაწილს.

3.5 სესხები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ გარიგების ხარჯების (მათ შორის სესხის გაცემის საკომისიო) წრფივი ამორტიზაციის მეთოდი არ იძლევა მატერიალურ სხვაობას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდთან, ასეთ შემთხვევაში ხდება ამ ხარჯების წრფივი ამორტიზაცია და საპროცენტო ხარჯში აღიარება დროის გასვლის პროპორციულად. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

3.6 შემოსავალი

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.7 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს, როგორც ვალდებულება და როგორც პერიოდის ხარჯი.

3.8 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული სრულად განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე. კომპანია არ ინახავს ფულს სალაროში. 2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-22	31-12-21
ლარი	16,953	326,985
ევრო	9,066	5,111
ფუნტი	26,222	-
აშშ დოლარი	64,404	9,896
სულ	116,645	341,992

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება მოთხოვნებისგან ჯანდაცვის სფეროში მოღვაწე კომპანიების მიმართ. მათ შორისაა 40-ზე მეტი ქართული ჰოსპიტალი.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

სავაჭრო მოთხოვნები	31-12-22	31-12-21
რეზიდენტი	844,412	534,219
არარეზიდენტი	12,462	5,375
სულ	856,874	539,594

6. მარაგები

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

მარაგები	31-12-22	31-12-21
სარეალიზაციო საქონელი	3,045,850	1,652,407
სხვა	91,583	74,425
სულ	3,137,433	1,726,832

7. გაცემული ავანსები

გაცემული ავანსები ძირითადად შედგება სამედიცინო აპარატურისთვის და ინსტრუმენტებისთვის გადახილი ავანსებისგან.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

გაცემული ავანსები	31-12-22	31-12-21
რეზიდენტი	29,102	22,489
არარეზიდენტი	266,627	461,904
სულ	295,729	484,393

8. ძირითადი საშუალებები

2022 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	რეალიზაცია	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	262,267	-	-	262,267
მიწის ნაკვეთები	-	116,114	-	116,114.00
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	10,085	-	-	10,085
მანქანა-დანადგარები	1,432	-	-	1,432
ოფისის აღჭურვილობა	112,687	10,785	-	123,472
ავეჯი და სხვა ინვენტარი	63,734	10,533	-	74,267
სატრანსპორტო საშუალება	49,334	576	-	49,910
სულ	499,539	138,008	-	637,547

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	რეალიზაცია	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	14,411	6,837	-	21,248
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	3,850	2,017	-	5,867
მანქანა-დანადგარები	295	320	-	615

ოფისის აღჭურვილობა	17,686	22,849	-	40,535
ავეჯი და სხვა ინვენტარი	19,918	15,789	-	35,707
სატრანსპორტო საშუალება	12,230	7,421	-	19,651
სულ	68,390	55,233	-	123,623

2021 წლის მოძრაობა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ისტორიული ღირებულება	ისტორიული ღირებულება, 1 იანვარი	დამატება	რეალიზაცია	ისტორიული ღირებულება, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	262,157	110	-	262,267
მიწის ნაკვეთები	-	-	-	-
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	10,085	-	-	10,085
მანქანა-დანადგარები	350	1,082	-	1,432
ოფისის აღჭურვილობა	15,860	97,230	(403)	112,687
ავეჯი და სხვა ინვენტარი	23,595	40,139	-	63,734
სატრანსპორტო საშუალება	15,822	33,512	-	49,334
სულ	327,869	172,073	(403)	499,539

დაგროვილი ცვეთა	დაგროვილი ცვეთა, 1 იანვარი	ცვეთის ხარჯი	რეალიზაცია	დაგროვილი ცვეთა, 31 დეკემბერი
შენობა-ნაგებობები	7,566	6,845	-	14,411
ძირითადი საშუალების კეთილმოწყობა	1,833	2,017	-	3,850
მანქანა-დანადგარები	2	293	-	295
ოფისის აღჭურვილობა	4,743	13,132	(189)	17,686
ავეჯი და სხვა ინვენტარი	11,051	8,867	-	19,918
სატრანსპორტო საშუალება	6,329	5,901	-	12,230
სულ	31,524	37,055	(189)	68,390

9. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს დავალიანებებს ინვენტარის მომწოდებელი კომპანიების მიმართ.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-22	31-12-21
რეზიდენტი	54,137	56,048.00
არარეზიდენტი	19,224	5,708.00
სულ	73,361	61,756

10. მიღებული ავანსები

მიღებული ავანსები ძირითადად შედგება სამედიცინო აპარატურისთვის და ინსტრუმენტებისთვის ან მათი მონტაჟისთვის მიღებული ავანსებისგან.

2022 წლის 31 დეკემბრისა და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები იყო:

მიღებული ავანსები	31-12-22	31-12-21
რეზიდენტი	40,571	122,277
არარეზიდენტი	12,615	-
სულ	53,186	122,277

11. შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ვაჭრობა სამედიცინო აპარატურით და ინსტრუმენტებით, ასევე სამედიცინო აპარატურის შეკეთება და მონტაჟი.

2022 და 2021 წლების განმავლობაში დარიცხული შემოსავალი წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

რეალიზაცია	2022	2021
კომპიუტერული ტომოგრაფი	1,086,471	1,676,650
რენტგენის აპარატურა	968,702	345,295
ხელოვნური ვენტილაციის აპარატი	421,585	-

ოფთალმოლოგიური აპარატი	224,934	-
საანესთეზიო აპარატი	124,545	95,804
სასუნთქი აპარატურა	27,896	901,687
სხვა	3,180,344	1,817,018
სულ	6,034,477	4,836,454

12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2022 და 2021 წლების განმავლობაში დარიცხული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

თვითღირებულება	2022	2021
კომპიუტერული ტომოგრაფი	826,171	1,103,936
რენტგენის აპარატურა	571,457	243,804
ხელოვნური ვენტილაციის აპარატი	233,222	-
ოფთალმოლოგიური აპარატი	160,918	-
საანესთეზიო აპარატი	72,103	54,987
სასუნთქი აპარატურა	13,072	571,772
სხვა	1,769,042	1,006,149
სულ	3,645,985	2,980,648

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2022	2021
რემონტის ხარჯი	17,104	30,619
საკონსულტაციო ხარჯები	18,453	18,228
იჯარის ხარჯი	31,398	16,836
საწვავის ხარჯი	26,653	15,847
საბანკო ხარჯი	17,580	14,481
კომუნალური ხარჯი	23,190	10,077
მივლინების ხარჯები	6,919	2,991
მიწოდების ხარჯები	47,759	7,457

წარმომადგენლობითი ხარჯი	-	3,266
ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	5,599	2,714
სხვა	34,990	32,937
სულ	229,645	155,453

14. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2022	2021
მენეჯმენტის ხელფასი	361,119	246,226
სახელფასო ხარჯი	141,098	76,516
სულ	502,217	322,742

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წელს მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 361,119 ლარი, ხოლო 2021 წელს 246,226 ლარი.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

